საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაცია და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება

ჯანდრი ზარანდია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
ელექტრონული ფოსტა;
jani-zaranda_mail.ru

რეზიუმე

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციისა და ინტეგრაციული პროცესების გაღრმავების ფონზე საქართველოს უმთავრესი ეკონომიკურ პოლიტიკურ მისწრაფებას მსოფლიო ცივილიზებულ სივრცეში ინტეგრაცია წარმოადგენს. საქართველო ევროპული ქვეყანაა და საგარეო ეკონომიკური და პოლიტიკური კურსი ძირითადად მიმართულია ევროპული სივრცისაკენ, ქვეყნის მთავარ საგარეო ვექტორად არჩეული აქვს ევროკავშირში ინტეგრაცია.

სტატიაში, საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ფარგლებში – შედარებულია საქართველოსა და ევროკავშირის ერთ-ერთი წევრი ქვეყნის, დანიის სამეფოს მაკრო ეკონომიკური მაჩვენებლები. გაანალიზებულია მათი განვითარების ეტაპები და ევროკავშირთან ურთიერთობების მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგია. შედარებაზე დაყრდნობით გამოტანილია დასკვნა. ვინაიდან საქართველო ევროპული ქვეყანაა, ევროპული ორიენტაცია შეუქცევადია და ევროპული მოდელის დამკვიდრება უნდა გახდეს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ორიენტირი. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა დააჩქაროს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი, გამოიყენოს ევროპის განვითარებული ქვეყნების გამოცდილება, როგორიცაა დანია და განავითაროს ეკონომიკის ის სფეროები სადაც ქვეყანას <u>დიდი ეკონომიკური პოტენციალი გააჩნია.</u> ბუნებრივია, ეს გრძელვადიანი პროცესია და ბევრ სფეროში მტკივნეული რეფორმების განხორციელებას მოითხოვს, მაგრამ საქართველოს ამ რთული გზის გავლა აუცილებლად მოუწევს და სწორი მიდგომისა და სწორი მენეჯმენტის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება, საშუალოვადიან პერიოდში მიუახლოვდეს ევროპის განვითარებული ქვეყნების ეკონომიკას.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციისა და ინტეგრაციული პროცესების გაღრმავების ფონზე საქართველოს უმთავრესი ეკონომიკურ პოლიტიკურ მისწრაფებას მსოფლიო ცივილიზებულ სივრცეში ინტეგრაცია წარმოადგენს. ქართველი საზოგადოება ევროკავშირის მიმართ განსაკუთრებით კარგად არიან განწყობილნი. ისინი ევროკავშირს არა მარტო კეთილისმყოფელ ინსტიტუტად მიიჩნევენ და მისგან მხარდაჭერას აფასებენ, არამედ სულ უფრო მეტად არიან დარწმუნებულნი, რომ საქართველო მისი წევრი უნდა გახდეს.

სტატიაში საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ფარგლებში – შედარებულია საქართველოსა და ევროკავშირის ერთ-ერთი წევრი ქვეყნის, დანიის სამეფოს მაკრო ეკონომიკური მაჩვენებლები. მოცემულია ორი ქვეყნის ზოგადი დახასიათება, მათი გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობა, ბუნებრივი და წიაღისეული სიმდიდრე, განხილულია ეკონომიკის ძირითადი დარგები, გაანალიზებულია მათი განვითარების ეტაპები და ევროკავშირთან ურთიერთობების მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგია. შედარებაზე დაყრდნობით გამოტანილია დასკვნა, რომლის მიხედვითაც ევროკავშირთან ინტეგრაციის დაჩქარება – გაღრმავება, საქართველოს ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობად შეიძლება ჩაითვალოს.

საკვანძო სიტყვები:
- **დანია – Dania**
- **საქართველო – Georgia**
- **მოსახლეობა – Population**
- **ფართობი – Area**
- **მშპ – Gross Domestic Product (GDP);**
- **მეპ — Gross National Product (GNP);**

საქართველო ევროპული ქვეყანაა და საგარეო ეკონომიკური და პოლიტიკური კურსი ძირითადად მიმართულია ევროპული სივრცისაკენ, იგი მჭიდროდ თანამშრომლობს ევროკავშირის სტრუქტურებთან და ქვეყნის მთავარ საგარეო ვექტორად არჩეული აქვს ევროკავშირში ინტეგრაცია. ამ გზაზე არსებული სირთულეების, წინააღმდეგობების და ზოგიერთი არაკეთილმოსურნე უცხო ძალების ზეწოლის მიუხედავად, საქართველომ საკმაოდ თამამი ნაბიჯები გადადგა მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრაციის თვალსაზრისით, განსაკუთრებით კი ევროინტეგრაციის კუთხით, რომლის დადასტურებაცაა „ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება", „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულება", ასევე „ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია." ევროინტეგრაციის კუთხით მიღწეული წარმატებები უნიკალურ შესაძლებლობებს ქმნის ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარებისათვის.

ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი აქტიურ ფაზაში შევიდა. ვინაიდან საქართველოს ევროპული ორიენტაცია შეუქცევადია, და ევროპული მოდელის დამკვიდრება უნდა გახდეს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ორიენტირი. ამდენად, ჩვენ გადავწყვიტეთ ევროკავშირთან ინტეგრაციის ფარგლებში ერთმანეთს შევადაროთ საქართველოსა და ევროკავშირის ერთერთი წევრი ქვეყნის, დანიის მაკრო ეკონომიკური მაჩვენებლები. განხილვა დავიწყოთ ამ ორი ქვეყნის ზოგადი დახასიათებით, მათი განვითარების ეტაპების გაანალიზებით და ევროკავშირთან ურთიერთობების მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგიით.

დანიის სამეფო არის საპარლამენტო ტიპის კონსტიტუციური მონარქია, დედაქალაქი კოპენჰაგენი. დანია უნიტარული სახელმწიფოა, სახელმწიფოს მეთაურია მონარქი, მთავრობის მეთაურია პრემიერ მინისტრი, საკანონმდებლო ორგანო - ერთპალატიანი პარლამენტი. დანიის ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში შესვლის შესახებ მოლაპარაკება 1961 წელს დაიწყო, რომელიც 1963 წელს შეჩერებულ იქნა და განახლდა მხოლოდ 1969 წელს. დანია 1972 წელს მეორე ჯერ ჩატარებული რეფერენდუმის შემდეგ, შეუერთდა მაასტრიხტსკის ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულების საფუძველზე, 1973 წლის პირველი იანვრიდან დანია ევროკავშირის წევრი ქვეყანა გახდა და ესეც მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ევროსაბჭოს დანარჩენმა წევრმა ქვეყნებმა, დანია გაანთავისუფლეს მრავალი მოვალეობისაგან, როგორიცაა: ერთიანი ვალუტისა და ერთიანი მოქალაქეობის შემოღება და საერთო უსაფრთხოების სისტემაში მონაწილეობა.

დანიის სამეფოს საგარეო პოლიტიკა გაეროს, ნატოს, ევროკავშირისა და ჩრდილოეთ ევროპული ქვეყნებთან თანამშრომლობაზეა დაფუძნებული. დანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ნატოსა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის დამფუძნებელია, ასევე მრავალი საერთაშორისო ოგანიზაციის წევრია მათ შორის ეუთოს, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის და სხვა.

დანიის ისტორია მნიშვნელოვნად არის განპირობებული მისი ადგილმდებარეობით ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვებს შორის. დანია მდებარეობს ჩრდილოეთ ევროპაში, ის შედგება იუტლანდიის ნახევარკუნძულისა და 443 დასახელების კუნძულისაგან, რომელთაგან 72 დაუსახლებელია. დანიის ტერიტორიის ფართობია 43,094 კვ.კმ. 700 კვ.კმ წყალს უკავია. ხმელეთის ტერიტორიის ფართობით დანიის უდიდესი კუნძულია ფუნენი და ზელანდია რომელიც იუტლანდიის ნახევერკუნძულის ჩრდილოეთ მხარეში მდებარეობს[1], დანიას სამხრეთით ესაზღვრება გერმანიას და საზღვრის სიგრძე 68 კმ-ია. სხვა მხრიდან გარშემორტყმულია 8,750 კმ. ზომის სანაპირო ზოლით. დანიის დედაქალაქია კოპენჰაგენი რომელიც მდებარეობს კუნძულ ზელანდიაზე. დანიის სამეფო მოიცავს და მართავს მსოფლიოში ყველაზე დიდ კუნძულს – გრენლანდიას, სადაც შემოღებულია ისეთი ტერიტორიული თვითმართველობა. დანიის მოსახლეობა 2018 წლის მონაცემებით 5.753 მილიონ კაცს შეადგენს. უმუშევრობის დონე დაბალია, 2018 წლის მონაცემებით 4,1%-ია. მოსახლეობის სიმჭიდროვე 1335 კაცი 1 კვ.კმ-ზე.

დანიას გაჩნია თანამედროვე, მოწინავე და განვითარებული საბაზრო ეკონომიკა, რომელიც რეიტინგში მთლიანი შიდა პროდუქტის მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე მე-8 ადგილზეა. ქვეყანაში ძლიერ დაცულია საკუთრების უფლება, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მაჩვენებლით, დანიის ეკონომიკა შეფასებულია როგორც ერთ ერთი ყველაზე თავისუფალი. 1972 წლიდან დანიაში, ჩრდილოეთ ზღვაში დაიწყეს ნავთობისა და გაზის მოპოვება, გადამუშავება. გადამუშავებული ნავთობის პროდუქციის ნაწილი ექსპორტზე გადის. ნავთობის მათ შორის

[1] Denmark (http://www.state.gov/r/pa/ei/bgn/3167.htm). U. S. Department of State. Bureau of European and Eurasian Affairs. Проверено 16 июня 2011. Архивировано из первоисточника 2 августа 2011 (http://www.webcitation.org/616KGWAti).

ზეთის მთავარი მყიდველები არიან შვედეთი და ნიდერლანდები, გაზის გერმანია და ნიდერლანდები. დანია მსოფლიოში ერთ-ერთ ლიდერად ითვლება ენერგიის გამოყენების და განახლების მხრივ, კერძოდ ქარის ენერგიის მხრივ. მოხმარებული ენერგიის 25% განახლებადი ენერგიაა. სამრეწველო პროდუქციაში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს მანქანათმშენებლობას. კომპანიის **"vestas wind systems"**-ის წილი 2017 წლიდან მსოფლიოში წარმოებული ქარის ტურბინების თითქმის 14, 7%-ს შეადგენს.[2]

დანია საკმაოდ სტრატეგიული გეოპოლიტიკური მდებარეობა გააჩნია. იგი მდებარეობს ჩრდილოეთ ევროპაში, შედგება იუტლანდიის ნახევარკუნძულისა და კიდევ მრავალი დასახელების კუნძულისაგან. დანიის უდიდესი კუნძულია ფუნენი და ზელანდია ბევრი პატარა კუნძული ერთმანეთთან დაკავშირებულია ხიდებით. რესუნდის ხიდი აკავშირებს ზელანდიას შვეციასთან, გრეით ბელტ ბრიჯი აკავშირებს ფუნენს ზელანდიასთან. დანიის ლანდშაფტს მიეკუთვნება სასოფლო სამეურნეო მიწები და ტყის ნარგავები. 2005 წლიდან ტყე იკავებს ქვეყნის ტერიტორიის 11,8%-ს. დანიის უდიდესი ნაწილი ვაკეა, საშუალოდ ზღვის დონიდან 31 მ-ზე მდებარეობს. დანიის უდიდეს ნაწილს მოიცავს ბორცვები, ვაკეები და ქვიშიანი სანაპირო ზოლი. ქვეყანას ასევე აქვს დიდი რაოდენობის სახნავ-სათესი მიწა რომელიც ირწყვება მდინარეებიდან[3].

დანია მაღალ განვითარებული ინდუსტრიული და აგრარული ქვეყანაა.

მრეწველობის წილი მთლიან ეროვნულ პროდუქტის მოცულობაში – 45 % - მეტია. ქვეყანაში წამყვანი დარგებია: მანქანათმშენებლობა, კვების, ქიმიური, ცელულოზა–ქაღალდის და საფეიქრო მრეწველობა. სოფლის მეურნეობაში ძირითადი როლი ეკუთვნის მეცხოველეობის დარგს. დანია მე-7 –ე ადგილზეა მსოფლიოში ღორის ხორცის წარმოებით, წარმოებული ღორის ხორცის 87% გადის ექსპორტზე.

ქვეყნის ეკონომიკა დიდადაა დამოკიდებული საგარეო ვაჭრობაზე, მას საგარეო სავაჭრო კავშირები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანასთან გააჩნია. ქვეყანა მსოფლიოში ერთ – ერთ პირველ ადგილზეა საგარეო სავაჭრო ბრუნვის მოცულობით ერთ სულ მოსახლეზე. ქვეყნის ძირითადი საექსპორტო პროდუქცია იქმნება მანქანათმშენებლობის, რადიოელექტრონულ, კვების და ქიმიურ მრეწველობაზე. ამგვარად, დანია ექსპორტზე ორიენტირებული და ერთ – ერთი ყველაზე ძვირად ღირებული ქვეყნაა, სადაც ცხოვრება 45 %-ით ძვირია, ვინემ საშუალოდ ევროპაში[4].

ბალტიის რეგიონში დანია ერთადერთი ქვეყანაა რომელიც ახდენს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტს. სახნავი მიწების დიდი რაოდენობით არსებობამ და ზომიერმა კლიმატმა ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის განვითარებას. იმის ნაცვლად რომ სოფლის მეურნეობის წილმა დანიის ეკონომიკაში სტაბილურად მოიკლოს ინდუსტრიაიზაციისა და ეკონომიკური განვითარების გამო, იგი პირიქით პროგრესირდება. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ზრდასთან ერთად ცვლილებები ხდება ფერმის მენეჯმენტსა და ორგანიზებაში. თანდათანობით იკლებს ინდივიდუალური მეწარმეების რიცხვი და იზრდება ფერმების რიცხვი. დანიაში დაახლოებით 200000-მდე ინდივიდუალური ფერმაა, მათი მიწების საშუალო ზომა 16 ჰექტარს შედგენს. დანიაში კვლავ დომინანტურია ოჯახური მეურნეობები. ფერმების 91 % ოჯახების საკუთრებაშია 7% კი ფირმებისა[5]

საქართველო არის დემოკრატიული სახელმწიფო მმართველობის საპარლამენტო რესპუბლიკის ფორმით. სახელმწიფო ხელისუფლებას საქართველოში ახორციელებენ საქართველოს პრემიერ მინისტრი, საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს სასამართლო ორგანოები. ეროვნული ვალუტა — ლარი 1995 წლიდან. საქართველოს უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა გააჩნია. საქართველო მდებარეობს ევროპისა და აზიის გასაყარზე და აკავშირებს დასავლეთსა და აღმოსავლეთს. ტერიტორიის ფართობი 69,7 ათასი კვ.კმ აფხაზეთის და სამაჩაბლოს ჩათვლით. საქართველოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა მისი ბუნებრივი მრავალფეროვნება. მოსახლეობის რიცხოვნობა 2017 წლის მონაცემებით 3.729. მლნ. ტოლია[6].

საქართველოს ბუნებრივი პირობებისა ბუნე-

[2] Большая Российская энциклопедия: В 30 т. / Председатель науч.ред. совета Ю. С. Осипов. Отв. ред С. Л. Кравец. Т. 8. Григорьев — Динамика. — М.: Большая Российская энциклопедия, 2007. — С. 291—312

[3] იქვე.

[4] !«Названы самая дешёвая и самая дорогая страны Европы» (http://top.rbc.ru/economics/17/07/2009/316256.shtml)

[5] (https://en.wikipedia.org/wiki/Denmark)

[6] წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2017წ.

ბრივი რესურსების განსაკუთრებული სიუხვე, მრავალფეროვნება და კონტრასტები ახასიათებს. ქვეყანაში მრავალფეროვანი სასარგებლო წიაღისეული და მდიდარი მინერალურ-რესურსული ბაზაა. სასარგებლო წიაღისეულის სახეობებიდან, საქართველოში თითქმის ყველა გვხვდება, რომლებიც სამრეწველო-ეკონომიკური გამოყენების მიხედვით შემდეგნაირად ჯგუფდება:

1. ნედლეული შავი მეტალურგიის (მანგანუმი), ფერადი მეტალურგიისა და ოქროს მომპოვებელი მრეწველობის განვითარებისთვის — მანგანუმი, სპილენძი,

ოქრო, ვერცხლი, ტყვია, თუთია, დარიშხანი, სტიბიუმი, ბისმუთი, კადიუმი, სელენი, ტელური, გერმანიუმი, ვერცხლისწყალი, ინდიუმი, გოგირდი. ცეცხლგამძლე თიხა, დოლომიტი, საფლუსე კირქვები, საყალიბე ქვიშები, ქალცედონი, სპონგოლიტი, ტორფი, გაჯი.

2. ნედლეული ქიმიური და კვების მრეწველობის, აგროქიმიური და სხვა დარგებისთვის — მჟავეგამძლე ანდეზიტი, ბარიტის მადნები, ბენტონიტური თიხები, დიატომიტი, კალციტი, მინერალური საღებავები, ტალკი, ცეოლითი.

3. ნედლეული სამშენებლო ინდუსტრიისთვის — ცემენტის ნედლეული, გაჯი, თიხები, მოსაპირკეთებელი მასალები, ჩამოსასხმელი ბაზალტი და სხვა.

4. ნედლეული კერამიკის წარმოებისთვის — კაოლინი, კერამიკული თიხები, რიოლითები, ტრაქიტები, პეგმატიტები.

5. ნედლეული საიუვილერო და სანაკეთო წარმოებისათვის — აქატი, მარმარილოსონიქსი, გიშერი, ფერადი ობსიდიანი, იასპისი, დეკორატიული დოლერიტი, სხივოსნური ლამპრფირი.

6. ნედლეული მინის და მინის ტარის მისაღებად — მინდვრის შპატიანი ქვიშები.

7. სასმელი დანიშნულების მტკნარი მიწისქვეშა წყლები — გავრცელებულია როგორც ულტრამტკნარი, ასევე მტკნარი მიწისქვეშა წყლების ტიპები. საქართველოს პერსპექტიული მოთხოვნილება ამ რესურსზე შეადგენს

მთელი გამოვლენილი მოცულობის მხოლოდ 40 %-ს.

8. სასმელი და სამკურნალო დანიშნულების მინერალური წყლები —აღნიშნული წყლების გამოყენების სფერო ძალიან ფართეა, როგორც საგემოვნო, ისე სამკურნალოდ მათი გამოყენების პერსპექტივის განსაკუთრებული მრავალფეროვნების გამო.

9. თერმული წყლები — გამოიყენება როგორც სამკურნალო - საყოფაცხოვრებო, ისე ენერგეტიკული დანიშნულებით მოხმარებისთვის. თერმული წყლების ჯამური საბალანსო ენერგეტიკული პოტენციალი 300 მეგავატს აჭარბებს (http://moe.gov.ge/index.php?langid=GEO&secid=45).

რაც შეეხება ხე-ტყის რესურსებს, ოფიციალური მონაცემებით, ტყის ფონდის მიერ დაკავებული 3005,2 ათასი ჰექტრიდან, ტყით დაფარული ფართობი 2 772,45 ათას ჰექტარს (40%) შეადგენს. საქართველოში მერქნის საერთო მარაგი 451,7 მლნ კუბური მეტრია, რაც მსოფლიო მერქნის მარაგის 0,13 %. ამასთან, ტყის ფონდის ტყეების 97% დიდი დაქანების ფერდობებზეა განთავსებული (http://moe.gov.ge/index.php?langid=GEO&secid=44).

ასევე ცნობილია, რომ საქართველოს ნავთობის პოტენციური რესურსები 2 მლრდ. ტონადაა შეფასებული, თუმცა წლიური მოპოვება 100 ათას ტ-ს არ აღემატება (ჩიტიძე ნ., „გეოპოლიტიკა," თბილისი, 2011. გვ.627). ბუნებრივი გაზის პროგნოზული რესურსი კი 180 მლრდ მეტრ კუბით განისაზღვრება, რაც შეეხება მანგანუმს, მისი მარაგი ჭიათურის საბადოში 200 მლნ ტ-ზე მეტია.[7]

საქართველო პატარა ქვეყანაა და ერთ-ერთ ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს კავკასიის რეგიონში. ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა მნიშვნელოვანი ფაქტორია ევროპისა და აზიის სახელმწიფოთა ეკონომიკური გაღრმავების პროცესში. ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი, უდიდეს პერსპექტივებს სახავს საქართველოსა და მთელი კავკასიის, ცენტრალური აზიის, აღმოსავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაში. ტრასეკა ევრაზიის ვრცელი რეგიონის ინტეგრაციის, დაბალანსებული განვითარებისა და სოციალურ-პოლიტიკური სტაბილიზაციის ფაქტორად გვევლინება. პრაქტიკულად საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ევროპის სატრანსპორტო სისტემის ნაწილად ყალიბდება. თავის მხრივ ევროპული ქვეყნების სატრანსპორტო პოლიტიკა საქართველოს განიხილავს, როგორც თავისი ინტერესების ნაწილს და ცდილობს ჩვენი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწყობას იმ დონეზე, რომ დაჩქარდეს მისი ინტეგრირება ევროპულ სატრანსპორტო სისტემაში.

საქართველოს გეოპოლიტიკური პოტენციალის ათვისებისათვის, როგორც უკვე აღვნიშნეთ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ევროპა-კავკასია-აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნის ამოქმედებას. ამ მხრივ მეტად მნიშ-

[7] წყარო: კ. ციმინტია „მიკროეკონომიკური უსაფრთხოება ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემაში".

ვნელოვანია, მაგალითად, ბაქო - თბილისი - ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის ამოქმედება, რომელიც გააერთიანებს აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის სარკინიგზო ხაზებს. ამ სატრანსპორტო დერეფნის ამოქმედებით შეიქმნა ერთიანი, გრანდიოზული სატრანსპორტო არეალი, სადაც საქართველოს მონაკვეთში განსაკუთრებული ადგილი შავი ზღვის პორტებს ფოთსა და ბათუმს უკავია. ანაკლიის პორტი, რომლის მშენებლობა ახლო მომავალში უნდა დაიწყოს კიდევ უფრო განამტკიცებს ევროპა-კავკასია-აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნის მნიშვნელობას.

საქართველო 3000 წელზე მეტია აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მრავალფეროვან ასორტიმენტს უძველესი ღვინით დაწყებული, მარცვლოვანი კულტურებისა და ხილის ადგილობრივი ჯიშებით დამთავრებული. სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მშპ–ში მისი წილის, წმინდა სავალუტო შემოსავლების, დასაქმებისა და სიღარიბის დაძლევის თვალსაზრისით. სოფლის მაცხოვრებელთა უმრავლესობისთვის სოფლის მეურნეობა შემოსავლის უმნიშვნელოვანესი წყაროა, სწორედ სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული მთელი სამუშაო ძალის 50%. მათი 95% მცირე მეწარმეები არიან. საქართველოს და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შეთანხმება უზარმაზარი შესაძლებლობაა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სხვა მომიჯნავე დარგების განვითარებისათვის. თუმცა ეს შესაძლებლობები ჯერ-ჯერობით ვერ იქნა გამოყენებული.

შედარებისათვის განვიხილოთ საქართველოს და დანიის ძირითადი მაკრო-ეკონომიკური მაჩვენებლები:

ცხრილი 1. საქართველოს და დანიის ძირითადი მაკრო ეკონომიკური მაჩვენებლები[8] (მონაცემები აღებულია (2017 – 2018 წ.წ.)

	საქართველო	დანია
ფართობი	**69.7 კვ.კმ**	43.094 კვ.კმ
მოსახლეობა	**3.729 მლნ**	5.753 მლნ
მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა	**15.165 მილიარდი ა.შ.შ. დოლარი**	306.9 მილიარდი ა.შ.შ. დოლარი
მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე	**4.068 ათასი ა.შ.შ დოლარი**	53.34 ათასი აშშ დოლარი
მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობა	**14.351 მილიარდი ა.შ.შ. დოლარი**	514.527 მილიარდი დანიური კრონი
მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე	**3.849 ათასი ა.შ.შ დოლარი**	89.44 დანიური კრონი
ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები(ბიუჯეტის მოცულობა)	**13.728 მილიარდი ლარი**	62.260 ..მილიარდი ა.შ.შ. დოლარი
სოფლის მეურნეობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა	**2.396 მილიარდი აშშ. დოლარი**	4,174 მილიარდი ევრო
სოფლის მეურნეობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე	**642.5 დოლარი**	725.5 ევრო
სასოფლო სამეურნეო სავარგულების მოცულობა	**30.2 ათასი კმ2**	26,110 ათასი კმ2
სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა	**800,8 ათასი კაცი**	138.0 ათასი კაცი

[8] http://ec.europa.eu/agriculture/statistics/factsheets/pdf/dk_en.pdf
http://www.economywatch.com/economic-statistics/country/Denmark/year-2015/
http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.CD
წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; http:\\www.geostat.ge

როცა განვიხილეთ საქართველოსა და დანიის ზოგადი დახასიათება, ფართობი, მოსახლეობა, ბუნებრივი პირობები, რესურსული პოტენციალი და გეოპოლიტიკური გარემო, შევადარეთ და მოვახდინეთ მათი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი და განზოგადოება, დავინახეთ რომ დანია ეკონომიკური განვითარების დონით ბევრად მაღლა დგას ვიდრე საქართველო. საქართველოს ტერიტორიის ფართობი 69,7 კვ.კმ კილომეტრია, დანიასი კი, 43,094 კვ.კმ. დანია მოსახლეობის რაოდენობით ბევრად აღემატება საქართველოს, საქართველოს მოსახლეობა 3.729 მილიონია, დანიასი კი, 5,753 მილიონი. საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 15.165 მილიარდი აშშ დოლარია, დანიასი - 306.9 მილიარდი აშშ დოლარი. როგორც ვხედავთ დანიის მშპ-სა და მეპ-ის მოცულობა ბევრად აღემატება საქართველოს იგივე მონაცემებს. მიუხედავად იმისა რომ, საქართველო ტერიტორიის ფართობით უფრო დიდი ქვეყანაა ვიდრე დანია, რესურსული პოტენციალითაც უპირატესობა გააჩნია, საქართველო ეკონომიკური განვითარებით მნიშვნელოვნად ჩამორჩება დანიას. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი რომ, 2011 წელს დანიას მშპ- ში, განახლებადი გამოყენებითი ენერგიიდან მიღებული შემოსავალი – 6,5 მლიარდი ევროს ტოლია, რომელიც საქართველოს წლიურ ბიუჯეტზე მეტია. დანია მსოფლიოში ითვლება ერთ-ერთ ლიდერად ენერგიის გამოყენების და განახლების მხრივ, კერძოდ ქარის ენერგიის მხრივ.

ცხრილში – საქართველოს და დანიის ძირითადი მაკრო ეკონომიკური მაჩვენებლები, კარგად ჩანს რომ, საქართველოსა და დანიას სასოფლო სამეურნეო სავარგულების მოცულობა თითქმის ერთნაირია, საქართველოსი 30.2 ათასი კმ2, ხოლო დანიის 26,110 ათასი კმ2. საქართველოში გამოშვებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა 2.396 მლრდ აშშ დოლარია, ხოლო სოფლის მეურნეობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე 642.5 დოლარი, მაშინ როდესაც დანიაში, რომლის სასოფლო სამეურნეო სავარგულების მოცულობა ნაკლებიც კია ვიდრე საქართველოში, სოფლის მეურნეობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა 4,174 მილიარდი ევრო, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე 725.5 ევრო, როგორც ვხედავთ დანიის ეს მონაცემები საგრძნობლად მეტია საქართველოს იგივე მონაცემებზე და დანია ამ სფეროშიც წარმატებულია ვიდრე საქართველო. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება როგორც დანიაში, უნდა ეფუძნებოდეს წარმოებაში მექანიზაციის ამაღლებას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, სასოფლო შინამეურნეობათა გაერთიანებების კოოპერატივების შექმნას. სოფლად უნდა განვითარდეს საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის პროექტები. უნდა მოხდეს კოოპერაციის სტიმულირება, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ზრდასთან ერთად უნდა მოხდეს ცვლილებები ფერმის მენეჯმენტსა და ორგანიზებაში. თანდათანობით უნდა იკლოს ინდივიდუალური მეწარმეების რიცხვმა და მათი გაერთიანების საფუძველზე უნდა გაიზარდოს ფერმების რიცხვი.

უნდა აღინიშნოს რომ, დანია ცნობილია თავისუფალი ვაჭრობის დამცველად ევროკავშირში. მსოფლიო ბანკის თანახმად დანიას ევროკიავშირში ყველაზე თავისუფალი შრომითი ბაზარი გააჩნია. დამსაქმებელს მუშის ქირაობა დათხოვნა შეუძლია მაშინ, როცა მოესურვება. ამავე დროს, სამსახურებს შორის უმუშევრობის კონფენსაცია საკმაოდ მაღალია. მსოფლიო ბანკი დანიას ბიზნესის ყველაზე ადვილად კეთების ადგილად მიიჩნევს. ასევე დანიაში სტაბილური ეკონომიკური გარემოა შექმნილი და ინვესტორებისათვის მეტად მიმზიდველობით სარგებლობს. სწორედ ამათშია დანიის ეკონომიკური განვითარების წარმატება.

2014 წლის 27 ივნისს ბრიუსელში ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებას,რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს (Deep and Comprehensive Free Trade Area- DCFTA).იგი ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს. საქართველომ მოიპოვა წარმატება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებებზე სატარიფო ლიბერალიზაციის კუთხით. საქართველოში წარმოებული თითქმის ყველა პროდუქტი შედის ევროკავშირის ბაზარზე საბაჟო გადასახდელების გარეშე. 2018 წლის იანვარში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარილებული ვაჭრობის გარეშე) 816.6 მლნ.აშშ დოლარი შეადგინა,რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 20.2 პროცენტით მეტია; აქედან ექსპორტი 222.7 მლნ.აშშ დოლარი შეადგინს(26 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 593.9 მლნ.აშშ დოლარს (18.2 პროცენტით მეტი).[9]

ევროავშირთან საქართველოს თანამშრომლობის ასპექტებით მიღწეული წარმატებები

[9] http://eprc.ge/index.php?a=main&pid=461&lang=geo

ჯერჯერობით სათანადოდ ვერ აისახა ეკონომიკური სარგებლის ზრდაში. საქართველო ჯერ კიდევ ვერ სარგებლობს ბევრი იმ შედავათით და პრეფერენციით, რომლებიც მინიჭებული აქვს ევროკავშირის აღმოსავლეთ მეზობელ პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობისა და ურთიერთობის ფორმატში. პოტენციალი უზარმაზარია, განსაკუთრებით ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ, რომელიც გულისხმობს საქართველოში ისეთი ეკონომიკური გარემოს ფორმირებას, რომელიც ქვეყანას ინვესტიციების მიღებაში, ქვეყნის ეკონომიკის და ინფრასტრუქტურის მოდერნიზებაში და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში დაეხმარება[2]. საქართველომ თანდათანობით უნდა დაუახლოვოს მისი ეკონომიკური და ფინანსური რეგულაციები ევროკავშირის სტანდარტებს, რომელიც მიმართული იქნება: – მაკროეკონომიკური პოლიტიკის, სტრუქტურულ რეფორმებისა და ეკონომიკურ განვითარებისაკენ. ევროპასთან ინტეგრაციის პროცესი ჩვენს ქვეყანას აძლევს დიდ შესაძლებლობებს, გააფართოვოს შიდა და გარე ბაზარი. ბაზრის გაფართოება გადამწყვეტ როლს თამაშობს ინვესტიციების მოცულობის ზრდაში. უცხოელი ინვესტორები შემოიტანენ ახალ ტექნოლოგიებს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ეროვნული ეკონომიკისა და პროდუქციის კონკურენტუნარიანობას. საქართველოს ბაზარი გაფართოვდება ევროპასთან ინტეგრაციის შედეგად, უცხოელი ინვესტორები გამოიყენებენ საქართველოს, შედარებით იაფ შრომით და ბუნებრივ რესურსებს პროდუქციის საწარმოებლად. წარმოებული პროდუქცია კი გატანილი იქნება მსოფლიო ბაზრებზე, რაც მნიშვნელოვან შემოსავლებს მოუტანს ჩვენს ქვეყანას.

ამდენად საქართველოს ხელისუფლებამ ეკონომიკური ზრდის ორიენტირად უნდა აიღოს ევროკავშირთან დაჩქარებული ინტეგრაციის პროცესი, გამოიყენოს ევროპის განვითარებული ქვეყნების გამოცდილება, როგრიცაა დანია და, განავითაროს ეკონომიკის ის სფეროები სადაც ქვეყანას დიდი ეკონომიკური პოტენციალი გააჩნია, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას და განვითარებას. ბუნებრივია, ეს გრძელვადიანი პროცესია და ბევრ სფეროში მტკივნეული რეფორმების განხორციელებას მოითხოვს, მაგრამ საქართველოს ამ რთული გზის გავლა აუცილებლად მოუწევს და სწორი მიდგომისა და სწორი მენეჯმენტის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება, საშუალოვადიან პერიოდში მიუახლოვდეს ევროპის განვითარებული ქვეყნების ეკონომიკას.

INTEGRATION OF GEORGIA WITH EUROPEAN UNION AND ECONOMIC DEVELOPMENT OF THE COUNTRY

JANDRI ZARANDIA
Academic Doctor of Economics, Associated professor,
Sokhumi State University
E-mail: jani_zarandia@mail.ru

Summary

Against the background of globalization of world economy and integration processes deepening, the main economic-political aspiration of Georgia is integration with the world's civilized space. Georgia is an European country and its foreign economic and political orientation is mostly towards Europe, the country has chosen integration with the European Union as the main foreign vector.

Within the scopes of the article "Integration of Georgia with European Union and Economic Development of the Country", there are compared macroeconomic indicators of Georgia and one of the Eu member states – Kingdom of Denmark. The article analyzes the stages of their development and chronology of significant events in the relations with European Union. Based on the comparison the conclusion was made: as Georgia is an European country, its European orientation is irreversible and fostering of the European model should become the landmark for the economic growth of the country. Georgian government should accelerate the process of EU integration, rely upon the experience of such developed European countries, as Denmark and develop the spheres of economy where the country has significant economic potential. Naturally, this is a long process and requires implementation of the painful reforms in many spheres, but Georgia has to pass along this hard way and with adequate approach and adequate management it would be possible to approach to the economic level of developed European countries in medium-to-long run.